


სექტორის ზოგადი მიმოხილვა

ზოგადი ტენდენციები

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (საქსტატი) ახლახან გამოაქვეყნა **2021 წლის II კვარტლის** ეკონომიკური მიმოხილვა. გამოცემის თანახმად, 2021 წლის მეორე კვარტალში სოფლის მეურნეობის სექტორში გამოშვება 2.3%-ით შემცირდა 2020 წლის იმავე პერიოდთან შედარებით. გარდა ამისა, სოფლის მეურნეობის წილმა ამ პერიოდში ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 7.8% შეადგინა.


სექტორის დამაიმედებლად არც პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI) გამოიყურება. 2021 წლის მეორე კვარტალში FDI სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვნად, 73%-ით შემცირდა 2020 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით. უფრო მეტიც, საქართველოს ეკონომიკის სხვა სექტორებთან შედარებით FDI სოფლის მეურნეობაში შედარებით დაბალი იყო და მთლიანი FDI-ის 0.6% შეადგინა.

მთლიანი გამოშვების სტრუქტურა, II კვარტალი, 2021



წყარო: საქსტატი, 2021.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით, II კვარტალი, 2021




2021 რთული წელი იყო ყურძნის მწარმოებლებისთვისაც. 26 აგვისტოს სეტყვამ და ძლიერმა ქარმა თელავისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტებში **4600 ჰექტარი ვენახი დააზიანა**. „რთველი 2021“-ის ფარგლებში, დაზიანებული რქაწითელი რთველის საკოორდინაციო შტაბში 0.8 ლარად, დაზიანებული საფერავი კი 1 ლარად ჩაიბარეს. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, ის ფერმერები, ვისი მოსავალიც სრულად განადგურდა, ვენახების აღსადგენად მიიღებენ ერთჯერად კომპენსაციას 3000 ლარის ოდენობით.

1-ლი ოქტომბრისთვის, დაახლოებით 203.7 ათასი ტონა ყურძენი გაიყიდა და ფერმერების შემოსავალმა 237.8 მლნ. ლარი შეადგინა. ვინაიდან, რთველი ჯერ არ დასრულებულა, ყურძნის გაყიდვებისა და ფერმერების მთლიანი შემოსავლის შესახებ საბოლოო სტატისტიკა ჯერ არ არის ხელმისაწვდომი.

წინა წლების მსგავსად, საქართველოს მთავრობა კვლავ დაასუბსიდირებს 2021 წლის ყურძნის მოსავალს, რათა ფერმერებსა და ღვინის მწარმოებლებს პროდუქციის გაყიდვაში დაეხმაროს. ჯამში რქაწითელის და კახური მწვანეს კილოგრამზე 0.9 ლარიდან 0.35 ლარი იქნება სუბსიდირებული.

გადამუშავებული ყურძნის რაოდენობა და ფერმერთა შემოსავალი



წყარო: ღვინის ეროვნული სააგენტო, 2021; გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
შენიშვნა: 2021 წლის მონაცემები წარმოდგენილია 2021 წლის 1-ლი ოქტომბრის მდგომარეობით


ფასები

ადგილობრივი ფასები


თვიურ ჭრილში, 2021 წლის ივნის-აგვისტოში ქვეყანაში ფასების დონე გაიზარდა. სამომხმარებლო ფასების ინდექსი (სფი) 2021 წლის აგვისტოში უმნიშვნელოდ, 0.75%-ით გაიზარდა 2021 წლის ივლისთან შედარებით, ივლისში ფასები წინა თვესთან შედარებით 1.3%-ით გაიზარდა. ივნისში კი წინა თვესთან შედარებით ფასები 0.7%-ით გაიზარდა.

2021 წლის ივნის-აგვისტოში, სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ფასებიც გაიზარდა, რომელიც სურსათის ფასების ინდექსით (FPI) იზომება. 2021 წლის აგვისტოში სურსათის ფასები 2021 წლის ივლისთან შედარებით 1.4%-ით გაიზარდა; ხოლო ივნისსა და ივლისში თვიურ ჭრილში ფასების ცვლილებამ შესაბამისად, 0.2% და 3.2% შედგინა.

სამომხმარებლო ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით (ივნისი-აგვისტო 2021)



სურსათის ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით (ივნისი-აგვისტო 2021)




წყარო: საქსტატი, 2021.

შენიშვნა: ინდექსის მნიშვნელობა წინა თვეში უდრის 100-ს.

2021 წლის ივნის-აგვისტოში სფი-მა ზრდა განაგრძო წლიურ ჭრილშიც. 2021 წლის ივნისში, სფი 9.9%-ით გაიზარდა 2020 წლის ივნისთან შედარებით, ხოლო 2021 წლის ივლისსა და აგვისტოში ფასების ცვლილებამ წლიურ ჭრილში შესაბამისად 11.9% და 12.8% შეადგინა.

2020 წლის აგვისტოში სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფში ფასები წინა წელთან შედარებით 16.2%-ით გაიზარდა, რამაც სფი 5.09 პროცენტული პუნქტით გაზარდა. ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა შემდეგ ჯგუფებში შემავალმა პროდუქტებმა:

სამომხმარებლო ფასებისა და სურსათის ფასების ინდექსების წლიური ცვლილება



ზეთი და ცხიმი (43.9%^ა)

ბოსტნეული და ბაღჩეული (42.2%^ა)




რძე, ყველი და კვერცხი (17.3%^ა)

წყარო: საქსტატი, 2021 წ.

უფრო ვრცლად ბოსტნეულის ფასებზე


2021 წლის ივნის-აგვისტოში ბოსტნეულის კატეგორიაში წლიურ ჭრილში ფასები გაიზარდა. 2021 წლის ივნისში ბოსტნეულის ფასები 16.6%-ით გაიზარდა 2020 წლის ივნისთან შედარებით, ხოლო ივლისში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ფასების ზრდამ 35.4% შეადგინა. 2021 წლის აგვისტოში კი ბოსტნეულის ფასების წლიურმა ზრდამ მაქსიმუმს მიაღწია და 42.2% შეადგინა. საქსტატის მონაცემებით, 2021 წლის აგვისტოში ბოსტნეულის კატეგორიაში ფასები ყველა პროდუქტზე გაიზარდა. ფასების ყველაზე დიდი ზრდა დაფიქსირდა ბადრიჯანზე (139.2%), კიტრსა (110.4%) და ჭარხალზე (108.3%). ვაჭრობის სტატისტიკის თანახმად, 2021 წლის იანვარ-აგვისტოში ბოსტნეულის ექსპორტმა 17.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2.25-ჯერ აღემატება 2020 წლის იანვარ-აგვისტოს მაჩვენებელს (7.9 მლნ აშშ დოლარი). ამავდროულად, იმპორტირებული ბოსტნეულის ღირებულება 2021 წლის იანვარ-აგვისტოში 15%-ით (28.1 მლნ-დან 23.7 მლნ აშშ დოლარამდე) შემცირდა წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით. ექსპორტის ზრდასა და იმპორტის შემცირებას შეეძლო გამოეწვია ადგილობრივ ბაზარზე მიწოდების დეფიციტი და, შესაბამისად, ფასის ზრდა, ადგილობრივი წარმოების ზრდის პირობებშიც კი. რადგან ადგილობრივი წარმოების შესახებ მონაცემები ჯერ კიდევ არ არის ხელმისაწვდომი, ძნელია ბოსტნეულის ფასების ზრდის ზუსტი მიზეზის დადგენა.

ფასების წლიური ცვლილება ბოსტნეულის კატეგორიაში (ივნისი-აგვისტო 2021)



წყარო: საქსტატი, 2021 წ.


ბოსტნეულის ფასების წლიური ცვლილება (აგვისტო 2021 vs აგვისტო 2020)



საერთაშორისო ფასები

2021 წლის ივნის-აგვისტოში საერთაშორისო ფასები წლიურ ჭრილში გაიზარდა. 2021 წლის აგვისტოში სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ შეფასებული სურსათის ფასების ინდექსი (FPI) 2020 წლის აგვისტოს-თან შედარებით მკვეთრად, 32.9%-ით, გაიზარდა. FPI-ის ზრდა აგვისტოში განპირობებულია მცენარეულ ზეთებზე (67.9%), შაქარსა (48.2%) და მარცვლეულზე (31.1%) ფასების მნიშვნელოვანი ზრდით. მცენარეული ზეთის ფასების ასეთი მკვეთრი ზრდა გამოწვეულია პალმის, სოიოს და რაფსის ზეთის ფასების ზრდით, რაც მოსალოდნელზე დაბალი წარმოების დონის გამო მოხდა, ხოლო შაქრის ფასის ზრდა ბრაზილიაში მოსავლის აღებაში შეფერხებისა და ყინვებით გამოწვეულმა ზიანმა გამოიწვია. რაც შეეხება მარცვლეულს, მარცვლეულის ექსპორტიორ ქვეყნებში უამინდობამ წარმოების შემცირება გამოიწვია, რასაც მარცვლეულ პროდუქტებზე ფასების ზრდა მოჰყვა.

საერთაშორისო ფასების წლიური ცვლილება (ივნისი - აგვისტო 2021)





წყარო: სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია, 2021 წ.

საერთაშორისო ვაჭრობა

2021 წლის იანვარ-აგვისტოში საქართველოს მთლიანი ექსპორტმა 2,611 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 26%-ით აღემატება გასული წლის შესაბამის მაჩვენებელს (2,072 მლნ აშშ დოლარი). მსგავსად, გაზრდილია აგრო ექსპორტი, თუმცა შედარებით უფრო მაღალი 30%-იანი ტემპით. აგრო ექსპორტი გაიზარდა 2020 წლის 528 მლნ აშშ დოლარიდან 683 მლნ აშშ დოლარამდე 2021 წელს. საერთო ჯამში, აგრო ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში გასულ წელთან შედარებით მცირედით, 25%-დან 26%-მდე გაიზარდა.

გაზრდილია საქართველოს მთლიანი იმპორტიც, მაგრამ უფრო ნელი ტემპით, ვიდრე ეს იყო ექსპორტის შემთხვევაში. იმპორტის წლიურმა ზრდამ 21% შეადგინა და ის 2020 წლის 5,030 მლნ აშშ დოლარიდან 6,073 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა 2021 წელს. რაც შეეხება აგრო იმპორტის წლიურ ცვლილებას, გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით ზრდამ 6% შეადგინა და 2020 წლის 763 მლნ აშშ დოლარიდან 2021 წელს 811 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა. ამასთანავე, აგრო იმპორტის წილი მთლიან იმპორტში 15%-დან 13%-მდე შემცირდა.

როგორც დიაგრამებიდან შეიძლება დავასკვნათ, აგრო იმპორტი და აგრო ექსპორტი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა და 2020 წელთან შედარებით 2021 წელს ორივე მცირედით გაიზარდა.




წყარო: საქსტატი, 2020 წ.
შენიშვნა: აგრო ექსპორტი და იმპორტი მოიცავს სურსათს

მსოფლიო ბაზარზე ხორბლის ფასის ბოლოდროინდელი მნიშვნელოვანი ზრდის გამო, საინტერესოა, გავანალიზოთ საქართველოში ხორბლისა და ხორბლის ფქვილის იმპორტი, რათა ვნახოთ, როგორ აისახება ზრდის ეს ტენდენცია ქართულ ბაზარზე. ქვემოთ მოყვანილი გრაფიკი ადარებს ხორბლის ფქვილისა და ხორბლის იმპორტირებულ რაოდენობას 2017 წლიდან 2021 წლამდე იანვარ-აგვისტოს პერიოდში.

2021 წელს წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ხორბლის იმპორტი შემცირდა 19%-ით – 321 ათასი ტონიდან 233 ათას ტონამდე. 294 ათასი ტონიდან 233 ათას ტონამდე (21%-ით) შემცირდა ხორბლის ფქვილის იმპორტიც. შესაბამისად, ხორბლის ფასების ზრდამ შესაძლოა გავლენა იქონია ხორბლის და ხორბლის ფქვილის იმპორტზე, რადგან წელს ორივე მაჩვენებელი ბოლო ხუთი წლის მინიმალურ ნიშნულზეა.

იმპორტირებული ხორბლის ფასი 2017 წლიდან 2021 წლამდე პერიოდში 15%-ით გაიზარდა (229 აშშ დოლარიდან ტონაზე 263 აშშ დოლარამდე ტონაზე). იმავე ტემპით გაიზარდა ხორბლის ფქვილის ფასი (233 აშშ დოლარიდან 2017 წელს 268 აშშ დოლარამდე 2021 წელს). ხორბლის და ხორბლის ფქვილის ფასები ბოლო 5 წლის განმავლობაში თითქმის იდენტურ ტრენდს მიყვება და ორივე მათგანი მიმდინარედ შეადგენს ბოლო ხუთი წლის მაქსიმუმს. თუ რუსეთი უფრო მეტად შეზღუდავს ექსპორტს, მაშინ ხორბლის და, შესაბამისად, ხორბლის ფქვილის ფასი შესაძლოა კიდევ უფრო გაიზარდოს.

ხორბლის და ხორბლის ფქვილის იმპორტი, ათასი ტონა



წყარო: საქსტატი, 2021 წ.

პოლიტიკის მიმოხილვა

2023 წლიდან საქართველოში ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიცირება სავალდებულო გახდება

2021 წლის 14 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტმა განიხილა კანონპროექტები ვაზისა და ღვინის შესახებ და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი და ინიციატივის პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენისთვის გაგზავნას მხარი დაუჭირა. ახალი რეგულაციები 2023 წლიდან ითვალისწინებს ალკოჰოლიანი სასმელების სავალდებულო სერტიფიცირებას ადგილობრივ ბაზარზე.

მიუხედავად იმისა, რომ სერტიფიკაცია მწარმოებლებისთვის დამატებით დანახარჯებთან ასოცირდება, იგი მნიშვნელოვანია სურსათის უვნებლობისა და მაღალი ხარისხის ღვინის წარმოების უზრუნველსაყოფად. ეს თავის მხრივ ხელს შეუწყობს ქართული ღვინის კონკურენტუნარიანობის გაზრდას ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე ბაზრებზე.

მეტი ინფორმაციისთვის: <https://parliament.ge/en/media/news/2023-tslidan-sakartveloshi-alkoholiani-sasmelebis-sertifitsirebasavaldebulo-ikneba>

დმანისის მუნიციპალიტეტში შვეიცარიული პროფესიული აგრარული სასწავლებელი პირველ სტუდენტებს მიიღებს

2021 წლის ნოემბრიდან დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ სარკინეთში შვეიცარიული აგრარული კოლეჯი პირველ სტუდენტებს მიიღებს. „შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასია“ (SASC) შექმნილია შვეიცარიული სტანდარტების შესაბამისად და მიმართულია მეცხოველეობაზე, რძისა და ყველის გადამამუშავებაზე. პროექტს კერძო ფინანსური ფონდი "Swiss South Caucasus Foundation" (SSFC) ახორციელებს საქართველოში შვეიცარიის საელჩოს მხარდაჭერით. მოსალოდნელია, რომ პროექტი ხელს შეუწყობს საქართველოს მეცხოველეობის სექტორის განვითარებას, რომელშიც ბოლო წლებში კლების ტენდენციები შეინიშნება.

მეტი ინფორმაციისთვის: <https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/20502>

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი
სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების
პოლიტიკის კვლევითი ცენტრი

ავტორები: სალომე დეისაძე s.deisadze@iset.ge
ელენე სეთურიძე elene.seturidze@iset.ge
სალომე გელაშვილი s.gelashvili@iset.ge